მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მოქალაქის გზამკვლევი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

2023

სარჩევი

შესავალი 3

1. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 5

2. მოქალაქეთა მონაწილეობის ძირითადი მექანიზმები 6

2.1. პეტიცია 6

2.2. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 7

2.3. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო 8

2.4. ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო 8

2.5. დასახლების საერთო კრება 9

2.6. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა 10

2.7. მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების მოსმენა . 11

2.8. ამომრჩეველთა მიერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი 11

2.9. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 12

3. მოქალაქეთა მონაწილების დამატებითი მექანიზმები 13

3.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „შენი იდეა ბათუმს“ 13

3.2. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო 13

3.3. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და საზოგადოებრივი დარბაზი 14

3.4. საკრებულოს „ღია კარის სხდომა" 15

3.5. ელექტრონული მონაწილეობის დამატებითი ფორმები 15

4. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები 16

დანართი 18

შესავალი

რას ნიშნავს მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში?

გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენი მონაწილეობა წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას ანიჭებთ თქვენ - მოქალაქეები, შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან უპასუხონ თქვენს საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

ხელისუფლების სხვადასხვა დონიდან, ადგილობრივი დონის მმართველობა ყველაზე უკეთ იძლევა მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობებს, რადგან ის უფრო ახლოს არის ხალხთან და უფრო ხელმისაწვდომია თქვენთვის, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. ამასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენს თქვენი ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე.

მონაწილეობა, ფართო გაგებით, გულისხმობს რაიმეს ნაწილად ყოფნას, ხოლო მოქალაქეთა ჩართულობა არის ორგანიზებული ძალისხმევა იმისთვის, რომ უფრო მეტი ბერკეტი და გავლენა გქონდეთ გადაწყვეტილებებსა და მათი მიღების პროცესებზე. ეს გულისხმობს მონაწილეობას საჯარო პოლიტიკის ფორმირების, კონკრეტული ინიციატივებისა და პროგრამების განსაზღვრის, დანერგვის, ბიუჯეტის პრიორიტეტების გამოვლენის, კონკრეტული სერვისების ხარისხის განსაზღვრის, შეფასებისა და სხვა პროცესში.

გარდა ამისა, ის რესურსი რასაც ხელისუფლება ხარჯავს არის საჯარო. შესაბამისად, მოქალაქეებთან თანამშრომლობა რესურსების განაწილებაზე, კონკრეტულ საკითხებსა და ინიციატივებზე სავალდებულოც კი არის. ეს კი შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებით.

რა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში?

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკანონმდებლო გარანტიები ძირითადად მოცემულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. გარდა კანონით განსაზღვრული მონაწილეობის ფორმებისა, ადგილობრივი თვითმმართველობები უფლებამოსილნი არიან დანერგონ მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები,[1] რომლებიც მოცემულია უშუალოდ თვითმმართველობის ორგანოების (მერია, საკრებულო) მიერ მიღებულ ადგილობრივ სამართლებრივ აქტებში.[2]

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოქალაქეთა განსაზღვრულ რაოდენობას ანიჭებს საკრებულოს სხდომის მოწვევისა[3] და მერისთვის უნდობლობის გამოცხადების[4] უფლებამოსილებას.

---

[1] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85, პუნქტი 5.
[2] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბერის დადგენილება №34 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ
[3] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 26.
[4] იქვე, მუხლი 51.

რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?

თქვენი ჩართულობით მიღებული გადაწყვეტილებები უფრო ეფექტური და მიზანმიმართულია. ის საშუალებას აძლევს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეფექტურად უპასუხონ კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებს. სანაცვლოდ კი იღებენ თქვენს ნდობას, შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები ხასიათდება უფრო მეტი ლეგიტიმურობით. ასეთ დროს, ერთი მხრივ, საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ძლიერდება კავშირები, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფები პოულობენ საერთო ენას ერთობლივი სარგებლის მიღების მიზნით და მკვიდრდება ერთმანეთთან დიალოგის პოზიტიური პრაქტიკა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის პროფილი

რეგიონი:	აჭარა	
მუნიციპალიტეტის კატეგორია:	თვითმმართველი ქალაქი	
ადმინისტრაციული ერთეულები:	14	
მოსახლეობის რაოდენობა:	172100	
მოსახლეობის გენდერული განაწილება:	ქალი %	კაცი %
ადმინისტრაციული შენობის მისამართი:	ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.№25	
მერიის ვებგვერდი:	https://batumi.ge/ge/	
საკრებულოს ვებგვერდი:	https://www.batumicc.ge/	
მერიის სოციალური ქსელი:	https://www.facebook.com/BatumiCityHallofficial/	
საკრებულოს სოციალური ქსელი:	https://www.facebook.com/BATUMIMUNICIPALITYCITYCOUNCIL/	
მერი:	არჩილ ჩიქოვანი	27 26 26
საკრებულოს თავმჯდომარე:	რამაზ ჯინჭარაძე	
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მერიაში:	ხათუნა აბულაძე	foi@batumi.ge
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი საკრებულოში:	მარინე ბერიძე	info@batumicc.ge

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა

სულ:	35 წევრი	
გენდერული განაწილება:	10 ქალი	25 კაცი
პარტიული განაწილება:	17 ხელისუფლება	18 ოპოზიცია

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ___ წევრისგან შედგება (ქალი და კაცი), სადაც __სახელისუფლებო, ხოლო __ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელია.

1. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში თქვენი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია შემდეგი მონაწილეობის ფორმები:

- პეტიცია;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო;
- დასახლების საერთო კრება;
- ბათუმის მუნიციაპლიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

გარდა აღნიშნული ფორმებისა, ქალაქ ბათუმში დანერგილია მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმებიც, კერძოდ:

- მონაწილეობითი ბიუჯეტირება პროექტი „შენი იდეა ბათუმს“;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და საზოგადოებრივი დარბაზი;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ღია კარის სხდომა"; და
- ელექტრონული მონაწილეობის სხვა ფორმები.

2. მოქალაქეთა მონაწილეობის ძირითადი მექანიზმები

2.1. პეტიცია

პეტიცია წარმოადგენს უშუალო დემოკრატიის ფორმას. ამ მექანიზმის გამოყენებით ბათუმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს შეგიძლიათ წარადგინოთ:

- საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- მოთხოვნა, რომ საკითხები შეისწავლონ, განიხილონ და გადაწყვიტონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

პეტიციის წარდგენა შეგიძლიათ როგორც წერილობითი სახით[5], ისე ელექტრონულად. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარსადგენად შექმნილია ელექტრონული პორტალი: http://petition.lsg.ge/batumi/. პეტიციაზე ხელმოწერის პროცედურა მიმდინარეობს ელექტრონულად, რისთვისაც დადგენილია 30 დღიანი ვადა. პეტიციის წარსადგენად აუცილებელია, რომ მას მხარს უჭერდეს ბათუმში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5% (708 ამომრჩეველი).

პეტიციის წარსადგენად თქვენ უნდა დარეგისტრირდეთ აპლიკაციის მომხმარებლად და პეტიციის ტექსტი განათავსოთ აპლიკაციაში. ტექსტს თან უნდა დაურთოთ:

- ინფორმაცია პეტიციის წარმდგენი სუბიექტების შესახებ;
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ან კონკრეტული წინადადებები;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებით მასალები, პეტიციის დასასაბუთებლად.

განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოჩნდება მისი ატვირთვის დღის მომდევნო სამუშაო დღის 24 საათამდე. ტექსტი არ აისახება თუ:

- ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს;
- შინაარსი შეურაცხყოფას აყენებს ნებისმიერ პირს;
- ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საჭირო ოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე აგზავნით პეტიციის ტექსტს, თანდართულ დოკუმენტებსა და პეტიციის ხელმომწერ ამომრჩეველთა სრულ სიას, შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@batumicc.ge. საკრებულოს აპარატი 3 სამუშაო დღის ვადაში იწყებს პეტიციის რეგისტრაციას. რის შემდეგაც აპარატი გამოგიგზავნით პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს და აღნიშნულს განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

[5] პეტიციის წერილობითი სახით წარდგენის პროცედურა განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 101-ე მუხლით.

2.2. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო[6] არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომლიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მერს პოლიტიკური ფუნქციის წარმატებით შესრულებაში. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმე იურიდიული პირების და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. საბჭოს დაკომპლექტება ხდება მონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

ბათუმის მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;
- ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;
- სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები.

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მერის გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები. მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები. მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის მომზადების პროცესში და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში და სხვა.[7]

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას წერილობით წარუდგენს მერს.

საკონტაქტო პირი

თამარ გუდავა

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

577 410 137

gudavatamar@gmail.com

[6] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 თებერვალის ბრძანება №532 ქ. ბათუმი.

[7] იქვე, მუხლი 4, პუნქტი 11.

2.3. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოა, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

საბჭოს საქმიანობის მიზანია შშმ პირთა უფლებების დაცვა და ამ საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია; მათი ღირსეული თანაცხოვრებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა და სხვა.

ამ მიზნის მისაღწევად საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს შშმ პირებთან დაკავავშირებულ საცხოვრებელ, სატრანსპორტო, საზოგადოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, თანამშრომლობს არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან, ახორციელებს საგანმანათ-ლებლო ღონისძიებებს, შეიმუშავებს სახელმძღვანელოებს და სხვა.[8]

საბჭოს შემადგენლობაში შედიან მერის სამსახურის უფროსები და შშმ პირთა წარმომად-გენლები, არაუმეტეს 16 წევრისა.[9] საბჭოს სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

საკონტაქტო პირი

სოფიო მიქელაძე

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

577-27-26-48

2.4. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო

ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო არის ბათუმის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომლის საქმიანობის მიზანია მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებების განხილვა და რეაგირება, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივ და

[8] შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 23 იანვრის N72 ბრძანების მე-3 მუხლით.
[9] იქვე, მუხლი 3.

პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედ-რების უზრუნველყოფა და სხვა.

საბჭო შედგება არანაკლებ 11 და არაუმეტეს 35 წევრისგან, რომლებიც შესაძლოა იყვნენ საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს ქალი წევრები, მერი, გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა.[10] საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც.

საკონტაქტო პირი

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს
თავმჯდომარე

599 716 301

nataliazoidze@gmail.com

2.5. დასახლების საერთო კრება

დასახლების საერთო კრება ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელო-ვანი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების, აგრეთვე მუნიციპალური ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში. დასახლების საერთო კრების მიზანია: ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა; ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პროექტების განსაზღვრა; მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შეფასება; საკრებულოსთვის პეტიციის მომზადება და სხვა.[11]

საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 50 პირს ან საერთო კრების რჩეულს.[12]

იმ შემთხვევაში თუ საერთო კრების მოწვევის ინიციატორი დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველები არიან, კრების მოწვევის პროცედურა შემდეგნაირად წარიმართება:

- იქმნება არაუმეტეს 3 წევრიანი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის ინიციატივის თაობაზე (განცხადებაში მიეთითება საინიციატივო ჯგუფის წევრთა შესახებ ინფორმაცია და საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები);

[10] გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N77 დადგენილების მე-3 მუხლით.

[11] დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, 85[3] მუხლით.

[12] საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლებით ასევე სარგებლობენ: მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისია ან ფრაქცია.

- წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მუნიციპალიტეტის მერი გასცემს მისი რეგისტრაციის შესახებ ცნობას,[13] რომელიც ქვეყნდება საჯაროდ;
- საინიციატივო ჯგუფი ერთი თვის ვადაში ადგენს საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიას. წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მერი გასცემს განცხადების რეგისტრაციის ცნობას;
- საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში თუ კრების მოწვევის ინიციატორი დასახლების საერთო კრების რჩეულია კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას მერიის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება.

დასახლების საერთო კრებას ვალდებულია ესწრებოდეს მერიის რწმუნებული, ამ საარჩევნო ოლქიდან არჩეული საკრებულოს წევრი და საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, რომელიც ადგენს დასახლების საერთო კრების ოქმს და აცნობს მას კრების მონაწილეებს.

2.6. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

თქვენ უფლება გაქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროთ ბათუმის საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ღია სხდომებს და სხდომის თავმჯდომარის თანხმობით დასვათ შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოთ განმარტება, განცხადება ან მიმართვა.

გარდა ამისა, ბათუმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელს უფლება გაქვთ გამოხვიდეთ მომხსენებლად ან თანამომხსენებლად, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოთ საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხის განხილვის დებატებში. ამ უფლების გამოსაყენებლად სხდომამდე 2 დღით ადრე წერილობითი ფორმით უნდა მიმართოთ საკრებულოს აპარატს.

სხდომების შესახებ ანონსები (სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი) შეგიძლიათ იხილოთ საკრებულოს ვებ და Facebook გვერდებზე. გარდა ამისა, შეგიძლიათ თვალი მიადევნოთ საკრებულოს სხდომის პირდაპირ ტრანსლაციას.

საკონტაქტო პირი

ლელა ნემსაძე

მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

577 53 00 52

info@batumicc.ge

მისამართი: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.№25, მეორე სართული, საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

[13] რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია კანონის მოთხოვნები ან/და საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებას. საინიციატივო ჯგუფის წევრს უფლება აქვს, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

2.7. მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების მოსმენა

ბათუმის მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრის[14] ანგარიშების მოსმენის მექანიზმი წარმოადგენს ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, სადაც თქვენ - ადგილობრივ მოქალაქეებს გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ და მონიტორინგი გაუწიონთ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობას.

მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრები და წარმოგიდგინოთ ანგარიში მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის განხილვისას გაიმართოს დისკუსია და პროცესი წარიმართოს კითხვა პასუხის რეჟიმში. თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან უპასუხონ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრის ანგარიშები და საჯარო განხილვასთან დაკავშირებული საკითხები საჯაროდ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდებზე.

2.8. ამომრჩეველთა მიერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი[15]

ბათუმში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5 კაციან საინიციატივო ჯგუფს უფლება გაქვთ წერილობითი ფორმით მიმართოთ საკრებულოს აპარატს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის პროცედურის დაწყების შესახებ. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოტივაცია, სხდომის დღის წესრიგის პროექტი (განსახილველი საკითხები) და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, განმარტებით ბარათთან ერთად.

რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატორები ვალდებულნი ხართ მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვოთ ბათუმში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 3%–ის ხელმოწერები, წინააღმდეგ შემთხვევაში რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდება.

ხელმომწერთა ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში საკრებულოს რიგგარეშე სხდომა უნდა ჩატარდეს ხელმოწერათა ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში.

ამომრჩეველთა მოთხოვნით მოწვეული საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ტარდება საჯაროდ. რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნის ინიციატორებს ან თქვენს წარმომადგენელს შესაძლებლობა გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ საკითხის განხილვაში, მათ შორის წარმოადგინოთ მოხსენება, გასცეთ პასუხები და განმარტებები განსახილველი საკითხის ირგვლივ დასმულ კითხვებზე, გაეცნოთ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტს და გამოთქვათ შენიშვნები, მოსაზრებები ანდა რეკომენდაციები.

---

[14] ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

[15] ამომრჩეველთა მიერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 104-105 მუხლებით.

2.9. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მოსახლეობის ინფორმირება ერთ-ერთი საწყისი საფეხურია მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საჯარო ინფორმაციის[16] ხელმისაწვდომობა გულისხმობს, ერთი მხრივ, თქვენს შესაძლებლობას - გამოითხოვოთ და მიიღოთ საჯარო ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულებას მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოახდინონ თქვენი ინფორმირება (ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების ან/და პროაქტიული გამოქვეყნების[17] გზით).

ყველას გაქვთ უფლება მოითხოვოთ საჯარო ინფორმაცია და აირჩიოთ მისი მიღების ფორმა, ასევე გაეცნოთ ინფორმაციას დედანში.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად თქვენ წერილობით განცხადებას[18] წარადგენთ/აგზავნით ბათუმის საკრებულოში ან მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე.[19] აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიუთითოთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე გაცნობოთ ამის შესახებ.

საკონტაქტო პირები:

ხათუნა აბულაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი

foi@batumi.ge

მარინე ბერიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი

info@batumicc.ge

---

[16] საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია;

[17] პროაქტიული გამოქვეყნება გულისხმობს საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსებას. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

[18] საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა იხილეთ დანართი N1-ის სახით.

[19] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია

3. მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები

3.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „შენი იდეა ბათუმს“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტირების[20] ელექტრონული მოდელი 2019 წელს დაინერგა, რისთვისაც შეიქმნა ონლაინ პორტალი www.idea.batumi.ge.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი - „შენი იდეა ბათუმს!“[21] - გაძლევთ შესაძლებლობას ჩაერთოთ ქალაქის ბიუჯეტის მართვაში, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია მილიონი ლარი.

ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლა შეგიძლიათ როგორც ონლაინ - თუკი გაქვთ ელექტრონული ფაქსიმილე, ისე ბათუმის მერიაში ან 14 სერვის ცენტრში. რეგისტრაციის შედეგად მოგენიჭებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რითაც შეძლებთ ონლაინ პლატფორმაზე იდეის დარეგისტრირებას ან/და რჩეული იდეისათვის ხმის მიცემას. გამარჯვებული პროექტები კი აისახება ბათუმის მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში და დაექვემდებარება დაფინანსებას მონაწილეობითი ბიუჯეტისათვის განსაზღვრული ასიგნების მოცულობის ფარგლებში.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ დარეგისტრირებული იდეა უნდა ხორციელდებოდეს ბათუმში, უნდა განეკუთვნებოდეს თვითმმართველობის კომპეტენციას, მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას და უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას.

3.2. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს[22] საქმიანობის მიზანია მოხალისეობრივ საწყისებზე, ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას, უზრუნველყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობა ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმავასა და განხორციელებაში, მოახდინოს ადგილობრივი ახალგაზრდების ინფორმირება მიმდინარე მოვლენების, პროგრამების ან ქვეპროგრამების და სიახლეების შესახებ.[23]

საბჭოს შემადგენლობაში შედიან ბათუმში რეგისტრირებული 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე. საბჭოს ახალგაზრდა წევრებს მათი ფუნქციების მაღალორგანიზებულად განხორციელებასა და ტექნიკური და საკოორდინაციო საკითხების მოგვარებაში ეხმარება - საბჭოს კოორდინატორი.

---

[20] მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზამკვლევი

[21] პროექტის Facebook გვერდის მისამართი: „შენი იდეა ბათუმს“

[22] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 თებერვლის ბრძანება №ბ14.14220425.

[23] ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს Facebook გვერდი

საბჭოს სხდომები ტარდება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, რომელიც შეიძლება მოიწვიოს საბჭოს თავმჯდომარემ, ბათუმის მერმა, საბჭოს კოორდინატორმა ან საბჭოს წევრთა 1/3-მა.

საკონტაქტო პირები:

თამარ ხალვაში

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს კოორდინატორი

555326812

tamar.khalvashi2000@gmail.com

საბა ოკუჯავა

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

557918514

sokujava9@gmail.com

3.3. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და საზოგადოებრივი დარბაზი

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მრჩეველთა საბჭო[24] არის საკრებულოს მუდმივმოქმედი სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის და თვითმმართველობის გამჭირვალობის მიზნით. საბჭოს საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და საკრებულოს საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და საკრებულოს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ამასთან, მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა საკრებულოს საქმიანობაში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედგება საზოგადოებრივი დარბაზის თითო წარმომადგენლისა და ქალაქ ბათუმში მოქმედი არასამთავრობოორგანიზაციების, ბიზნესს სექტორისა და მასმედიის საშუალებების ორ-ორი წარმომადგენლებისაგან, რომელთა არჩევა და შეცვლა ხდება შესაბამის სექტორთან კონსულტაციის შედეგების შესაბამისად. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები აირჩევიან ორი წლის ვადით.

საკრებულოს მრჩეველთა საბჭოს მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. სხდომები ღიაა და ნებისმიერ თქვენგანს შეგიძლიათ დასწრება. საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე, 2 დღით ადრე მაინც საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საზოგადოებრივი დარბაზი არის სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება ბათუმის თითოულ ადმინისტრაციულ ერთეულში.[25] ის შედგება ადმინისტრაციულ ერთეულში

[24] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

[25] ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულებია (სულ 14): ძველი ბათუმის, რუსთაველის, ბაგრატიონი 1-ის, ბაგრატიონი 2-ის, აღმაშენებლის, ჯავახიშვილის, თამარის, ხიმშიაშვილის, ბონი-გოროდოკის,

რეგისტრირებული ამომრჩევლებისა და ამ ერთეულში მოქმედი იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაციას ახდენს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ბათუმის მერის წარმომადგენელი.

საზოგადოებრივი დარბაზი პირველ სხდომაზე საკუთარი შემადგენლობიდან, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით ირჩევს დარბაზის თავმჯდომარეს, რომელიც ავტომატურად ხდება საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის.

3.4. საკრებულოს „ღია კარის სხდომა"

საკრებულოს „ღია კარის სხდომა" ადგილობრივი მოქალაქეების მოსაზრებებისა და ინიციატივების მოსმენის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც ტარდება საკრებულოს მიერ სამ თვეში ერთხელ მაინც.

საკრებულოს „ღია კარის სხდომაში" მონაწილეობის მისაღებად თქვენ განცხადებით უნდა მიმართოთ საკრებულოს აპარატს, ხსდომის ჩატარებამდე ორი დღით ადრე მაინც. სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია მისი ჩატარებიდან 7 დღით ადრე მაინც თავსდება საკრებულოს ვებ–გვერდზე და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

„ღია კარის სხდომაში" მონაწილე მოქალაქეს გამოსვლისათვის ეძლევა არა უმეტეს 5 წუთი. თითოეულ გამომსვლელს შესაძლებლობა აქვს სხდომაზე დააყენოს სასურველი საკითხი, თუმცა დებატები არ იმართება და დამაზუსტებელი კითხვის დასმის უფლებაც მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეს აქვს.

სხდომაზე თქვენ მიერ დასმული საკითხები წარედგინება საკრებულოს ბიუროს, რომელიც განხილვის შემდგომ გადაწყვეტს წარმოდგენილი საკითხების შესაბამისი კომისიისათვის ან/და მერისათვის განსახილველად გადაცემის საკითხს.

3.5. ელექტრონული მონაწილეობის დამატებითი ფორმები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ელექტრონული პეტიციისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვასთან ერთად არსებობს მოქალაქეთა ელექტრონული მონაწილეობის დამატებითი მექანიზმებიც, კერძოდ:

საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება (Livestream)

დაუკავშირდი ადგილობრივ ხელისუფლებას

მიწერე შენს დეპუტატს

აეროპორტის, კახაბრის, სამრეწველო, გონიო-კვარიათის და მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეულები.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები

იმისთვის რომ თქვენ ჩაერთოთ ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ეფექტურად გამოიყენოთ შემოთავაზებული მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები, მნიშვნელოვანია იცოდნეთ რა უფლებამოსილებებით სარგებლობენ ადგილობრივი თვითმმართველობები.

ბათუმის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მათ შორის, წყლის, ტყის და მიწის რესურსების მართვა
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება
- მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარებისა და განაშენიანების გეგმების შემუშავება და ტერიტორიის კეთილმოწყობა
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა
- წყალმომარაგების უზრუნველყოფა
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა
- საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება
- გარე ვაჭრობის, გამოფენებისა და ბაზრობების რეგულირება
- მშენებლობის ნებართვის გაცემა და ზედამხედველობის განხორციელება
- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება
- გეოგრაფიული ობიექტებისა (ქუჩა, სკვერი, პარკი და სხვა) და ამა თუ იმ ზონის სახელდება
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება

შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება

ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია

ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა

შშმ პირების, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება

უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით

დანართი

დანართი N1. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელ პირს ხათუნა აბულაძეს

ან

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელ პირს მარინე ბერიძეს

_____ (პ/ნ _____;

მის: _____; ტელ:_____)

განმცხადებლის სახელი გვარი — პირადობის დამადასტურებული

განმცხადებლის საცხოვრებელი მისამართი — განმცხადებლის ტელეფონის ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

_____

_____

მიუთითეთ ის საჯარო ინფორმაცია ან ინფორმაციები, რომლის გამოთხოვაც გსურთ მუნიციპალიტეტის ორგანოდან

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ დაუყოვნებლივ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ ინფორმაცია მომაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით, მისამართზე _____

განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი

პატივისცემით,

_____ _____

განმცხადებლის სახელი და გვარი სრულად — განმცხადებლის ხელმოწერა

_____

განცხადების გაგზავნის თარიღი